ხელშეკრულება N 25
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 01 სექტემბერი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს [1]" პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ახალშენის საჯარო სკოლა (საიდენტიფიკაციო N 248417565) წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა თურმანიძის სახით - (შემდგომში „შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ელდორადო" (საიდენტიფიკაციო N 448391268) წარმოდგენილი მისი დირექტორის ელდარ გორგილაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი)", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა შემსყიდველს მიაწოდოს საწმენდი და საპრიალებელი პროდუქტები (cpv 39800000), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 300 (სამასი) ლარს

2. საქონელის მიღება – ჩაბარება და მიწოდების ვადები

2.1. შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს მოთხოვნილი საქონელი;

2.2. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

2.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების შედეგად მიღებული საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში .

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.